მწვანე ალტერნატივას კომენტარები და შენიშვნები

მწვანე ალტერნატივა

გარემოსდაცვითი და სოციალური სამართლიანობისთვის

შპს ,,RMG Gold”-ის არსებული „საყდრისის“ გროვული გამოტუტვის საწარმოო უბნის ექსპლუატაციასა და ექსპლუატაციის პირობების შეცვლაზე - მოედნების გაფართოებაზე (სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება) გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტის სკრინინგის განცხადებაზე

15 მაისი, 2020

2020 წლის 4 მაისს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა განცხადება შპს ,,RMG Gold”-ის არსებული „საყდრისის“ გროვული გამოტუტვის საწარმოო უბნის ექსპლუატაციასა და ექსპლუატაციის პირობების შეცვლაზე - მოედნების გაფართოებაზე (სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება) გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტის სკრინინგის გადაწყვეტილებისათვის ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, შპს ,,RMG Gold“ გეგმავს საყდრისის საბადოს გროვული გამოტუტვის უბნის ტერიტორიაზე არსებული ნატრიუმის ციანიდის შემრევი უბნის რეკონსტრუქციას და მასთან ერთად ნატრიუმის ციანიდის 18%-ანი მზა წყალხსნარის მიმღები კვანძის მოწყობას. მიგვაჩნია, პროექტი უნდა დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას შემდეგი გარემოებების გამო:

1. სკრინინგის ანგარიშის თანახმად, „ნატრიუმის ციანიდის მზა წყალხსნარის მიმღები კვანძი მოეწყობა საყდრისის გროვული გამოტუტვის უბნის საწარმოო ტერიტორიაზე **თითქმის იგივე ადგილზე** სადაც განთავსებულია მოქმედი ციანხსნარის შემრევი რეზერვუარი“. ამასთან არ არის მითითებული რა გეგმები აქვს კომპანიას ამჟამად მოქმედ რეზერვუართან დაკავშირებით. თუკი იგეგმება რეზერვუარის ექსპლუატაციიდან გამოყვანა, მნიშვნელოვანია არსებობდეს შესაბამისი გეგმა, რისკების შეფასებითა და შემარბილებელი ღონისძიებებით.

2. კომენტირებისათვის გამოქვეყნებულ სკრინინგის განცხადებაში არ არის წარმოდგენილი მნიშვნელოვანი ინფორმაციის ნაწილი, რომელის საფუძველზეც გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, სამინისტრომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გზშ-ს. კერძოდ არ არის წარმოდგენილი (ა.ბ) არსებულ საქმიანობასთან ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედება.

სკრინინგის განცხადების თანახმად, RMG Gold ითხოვს კომპანიაზე 2019 წლის 23 იანვრის N 2-71 ბრძანებით გაცემულ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებაში ცვლილებას. საგულისხმოა, რომ შპს „RMG Gold“-ის არსებული „საყდრისის“ გროვული გამოტუტვის საწარმოო უბნის ექსპლუატაციასა და ექსპლუატაციის პირობების შეცვლაზე - მოედნების გაფართოებაზე (სასარგებლო წიაღისეულის

თბილისი, 0179, საქართველო
ფალიაშვილის ქ. 39ბ, IV სართ.
ტელეფონი: (995 32) 22 38 74
ელ. ფოსტა: greenalt@greenalt.org
ვებ-გვერდი: www.greenalt.org

გადამუშავება) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულია რიგი მნიშვნელოვანი ვალდებულებებისა რომელიც კომპანიას გადაწყვტილების გაცემის შემდეგ უნდა შეესრულებინა; ასევე, ამავე გადაწყვეტილების თანახმად, კომპანიას უნდა უზრუნველეყო სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 2018 წლის 10 აპრილის #000906 ადმინისტრაციული მიწერილობით განსაზღვრული გასატარებელი ღონისძიებების შესრულება. ინფორმაცია ამ ვალდებულებების შესრულების მდგომარეობისა და გარემოზე არსებული ზემოქმედების შესახებ არც სკრინინგის განცხადებაშია წარმოდგენილი და არც სამინისტროს ვებ-გვერდზე (როგორც ამას გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-17 მუხლი ითხოვს) ამდენად, შეუძლებელია კუმულაციური ზემოქმედების შეფასება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის, ზოგადად, საქმიანობის არსისა და კომპანიის საქმიანობისას არაერთი კანონდარღვევის გათვალისწინებით მიგვაჩნია, რომ მნიშვნელოვანია საფუძვლიანად მოხდეს საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შესწავლა.